დედოფალი ცნობილია თავისი ინტერესით ცხენების და ცხენოსნობისადმი. ამჟამად ის ბავშვთა დაცვის ფონდის პრეზიდენტია, ლონდონის უნივერსიტეტის რექტორია და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა.

პრინცი ენდრიუ, იორკის ჰერცოგი, სამეფო სამხედრო-საზღვაო

ფლორენსში მუდრისადაც მსახურობდა. 1986 წელს მან ცოლად შეირთო სარა ფერგიუსონი და ჰყავს ორი შვილი.

პრინც ედუარდს უყვარს თეატრი. ეს ინტერესი მან ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას გამოამჟღავნა. მან დატოვა სამსახური სამედიცინო სახლგანო ქვეით ჯარში და ახლა თეატრის დასის შემადგენლობაშია.

დედა-დედოფალმა, მეფე ჯორჯ VI-ის ქვრივმა, ასი წლის იუბილე 2000 წელს აღნიშნა. იგი 2002 წელს გარდაიცვალა. დედოფლის ერთადერთი და, პრინცესა მარგარიტა, სნოუდონის გრაფის მეუღლე, ცნობილია თავისი საქველმოქმედო მოღვაწეობით.

18. THE DEVELOPMENT OF THE BRITISH MONARCHY

The British Monarchy is older than the British Parliament, which goes back 700 years to the thirteenth century; it is older than English law courts, which go back 800 years to the twelfth century; It is older than the oldest Universities - Oxford and Cambridge. The remarkable illustration of this long continuity is that Queen Elizabeth II can trace her descent straight back to King Egbert in the year 829.

The continuity of the monarchy gives abilities to British political forms and social structure; it helps to prevent revolutionary dreams and sensational changes. But it is not a merely conservative institution. It does not prevent change. On the contrary, it has helped and fostered change; and it has changed itself in the process. This is the cause of its long survival. The British Monarchy has survived because it has changed, and because it has moved with the movement of time.

The office of Prime Minister was created in 1783. And that meant that the monarch henceforth ceased to take decisions, in any limits or under any conditions. He confined himself to taking the advice of his Prime Minister. But the King remained. And remained in a position not only of dignity but also of authority.

Of course, the monarch suffers when he becomes the formal representative of the state and ceases to be a living only and acting person; he only signs everything in obedience to advice and does not have the power of decision. But actually he not only receives and follows the

advice of his ministers, he may also offer them advice and suggestions in the strength of his long tenure and accumulated experience.

But even if the King were merely a symbol, he would still be of a high and valuable function. Though nowadays people have become too utilitarian, we forget that sentiment matters as well as utility. British monarchy, itself stable, and get changing has helped the whole country to combine stability with change by adapting her existing institutions harmoniously to the changing requirements of life.

18. ბრიტანეთის მონარქიის განვითარება

ბრიტანეთის მონარქია უფრო ძველია, ვიდრე ბრიტანეთის პარლამენტი, რომელიც 700 წლით ადრე — XIII საუკუნით თარიღდება, უფრო ძველია, ვიდრე ინგლისური სასამართლო დარბაზები, რომლებიც 800 წლის წინ — XII საუკუნეში შეიქმნა; უფრო ძველია, ვიდრე უძველესი უნივერსიტეტები — ოქსფორდი და კემბრიჯი. ამ ხანდაზმულობის შესანიშნავი ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ დედოფალი ელიზაბეთ II-ის წარმომავლობა პირდაპირ მეფე ეგბერტიდან — 829 წლიდან მომდინარეობს.

მონარქიის ეს სიძველე ქმნის ბრიტანეთის პოლიტიკურ ფორმებსა და სოციალურ სტრუქტურებს; ხელს უშლის რევოლუციურ ოცნებებსა და სენსაციურ ცვლილებებს, მაგრამ ის უბრალოდ კონსერვატიული ინსტიტუტი როდია. ცვლილებას ხელს კი არ უშლის, პირიქით, ის ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ცვლილებას. და ეს არის მისი გადარჩენის მიზეზი. ბრიტანეთის მონარქია გადარჩა იმიტომ, რომ ის იცვლებოდა და დროის ცვლილებასთან ერთად ვითარდებოდა.

პრემიერ-მინისტრის კაბინეტი 1783 წელს შეიქმნა. ეს კი ნიშნავდა, რომ იმ დროიდან მონარქმა შეწყვიტა ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება. ის შემოიფარგლა პრემიერ-მინისტრის რჩევების მიღებით, მაგრამ, ამავე დროს, დარჩა როგორც მმართველი.

რა თქმა უნდა, მონარქი განიცდის, როდესაც ის აღარ არის აქტიური პირი და იქცევა სახელმწიფოს ფორმალურ წარმომადგენლად, მორჩილად იღებს რჩევებს, აწერს ხელს და არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლება. თუმცა მონარქი არა მარტო იღებს და ახორციელებს თავისი მინისტრების რჩევებს, მას თავადაც შეუძლია რჩევა მისცეს მათ თავისი ხანგრძლივი გამოცდი-

ლების საფუძველზე.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, მეფე მხოლოდ სიმბოლოდ რომ დარჩენილიყო, მას მაინც ექნებოდა დიდი და მნიშვნელოვანი ფუნქცია. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ადამიანები მეტად პრაგმატულნი გახდნენ, ზოგჯერ გვაკვირდება, რომ გრძნობებს არანაკლები მნიშვნელობა აქვს. ბრიტანეთის მონარქია, თავისთავად მყარი, დაუხმარა თავის ქვეყანას, რომ სტაბილურობა პარმონიულად შერწყმულიყო ცვალებადობასთან ცხოვრების მოთხოვნების ცვლილებების შესაბამისად.

19. NATIONAL EMBLEMS

The United Kingdom (abbreviated from “the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland”) is the political name of the country which consists of England, Scotland, Wales and Northern Ireland (sometimes known as Ulster).

Great Britain is the name of the island which is made up of England, Scotland, Wales, whereas the British Isles is the geographical name of all the islands off the north west coast of the European continent.

In everyday speech “Britain” is used to mean the United Kingdom.

The flag of the United Kingdom, known as the Union Jack, is made up of three crosses. The upright red cross on a white background is the cross of the St George, the patron saint of England. The white diagonal cross on a blue background is the cross of St. Andrew, the patron saint of Scotland. The red diagonal cross on a white background is the cross of St Patrick, the patron saint of Ireland.

The Union Flag was first introduced in 1606 after the union of England and Scotland under one monarch. The cross of St Patrick was added in 1801 when Ireland was included in the United Kingdom.

The Welsh flag, called the Welsh Dragon, represents a red dragon on a white and green background.

St. George’s Day falls on 23 April and is regarded as England’s national day. On this day some patriot Englishmen wear a rose pinned to their jackets. A red rose is the national emblem of England from the time of the Wars of the Roses (15th century).

St. Andrew’s Day (the 30th of November) is regarded as Scotland’s

national day. On this day some Scotsmen wear a thistle in their button-hole. As a national emblem of Scotland, thistle apparently was first used in the 15th century as a symbol of defence. The Order of the Thistle is one of the highest orders of knighthood. It was founded in 1687, and is mainly given to Scottish noblemen (limited to 16 in number).

St. Patrick’s Day (the 17th of March) is considered as a national day in Northern Ireland and an official bank holiday there. The National emblem of Ireland is shamrock. According to legend, it was the plant chosen by St Patrick to illustrate the Christian doctrine of the Trinity to the Irish.

St. David’s Day (the 1st of March) is the church festival of St David, a 6th-century monk and bishop, the patron saint of Wales. The day is regarded as the National holiday of Wales, although it is not an official bank holiday.

On this day, however, many Welshmen wear either a yellow daffodil or a leek pinned to their jackets, as both plants are traditionally regarded as national emblems of Wales.

In the Royal Army three lions symbolize England, a lion rampant – Scotland, and a harp – Ireland. The whole is encircled and is supported by a lion and unicorn. The lion has been used as a symbol of national strength and of the British monarchy for many centuries. The unicorn, a mythical animal that looks like a horse with a long straight horn, has appeared on the Scottish and British royal coats of arms for many centuries, and is a symbol of purity.

The national anthem of the United Kingdom is “God Save the Queen.” It has been in use since about the middle of the 18th century. It’s origin is controversial, it has been attributed to various composers.

19. ეროვნული სიმბოლოები

შეერთებული სამეფო (შემოკლებული სახელწოდება „დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოდან“) — იმ სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდებაა, რომელშიც შედის ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია (რომელსაც ზოგჯერ ოლსტერს უწოდებენ).

დიდი ბრიტანეთი იმ კუნძულის სახელია, სადაც მდებარეობს ინგლისი, შოტლანდია და უელსი, ხოლო ბრიტანეთის კუნძულები ეწოდება ევროპის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროზე მდებარე ყველა კუნძულს.

სასაუბრო ენაში „ბრიტანეთი“ შეერთებული სამეფოს მნიშვნელობით იხმარება.

შეერთებული სამეფოს დროშა, რომელიც ცნობილია, როგორც „იუნიონ ჯეკი“, სამი ჯვრისგან შედგება. ვერტიკალური წითელი ჯვარი თეთრ ფონზე ინგლისის მფარველი წმინდანის, გიორგი პირველის ჯვარია. თეთრი დიაგონალური ჯვარი ლურჯ ფონზე შოტლანდიის მფარველი წმინდანის წმინდა ანდრიას ჯვარია. თეთრ ფონზე წითელი დიაგონალური ჯვარი წმინდა პატრიკის — ირლანდიის მფარველი წმინდანის ჯვარია.

ვალიელთა დროშაზე, რომელსაც „ვალეიურ ურჩხულს“ უწოდებენ, წითელი ურჩხული თეთრ და მწვანე ფონზეა გამოსახული.

შეერთებული სამეფოს დროშა პირველად შემოღებულ იქნა 1606 წელს, ინგლისისა და შოტლანდიის ერთი მონარქის ბატონობის ქვეშ გაერთიანების შემდეგ. წმინდა პატრიკის ჯვარი დროშას მამინ დაემატა, როდესაც ირლანდია შეერთებული სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

წმინდა გიორგის დღე, 23 აპრილი ინგლისის ეროვნული დღესასწაულია. ამ დღეს ზოგიერთი ინგლისელი პატრიოტი წითელ ვარდს იბნევს პიჯაკზე. წითელი ვარდი ინგლისის ემბლემაა ვარდების ომის (XV საუკუნე) დროიდან.

30 ნოემბერი, წმინდა ანდრიას დღე, შოტლანდიაში ეროვნულ დღედ ითვლება. ამ დღეს ზოგიერთი შოტლანდიელი ნარშავს დილი-გიღობი აკეთებს. XV საუკუნეში ნარშავს შოტლანდიაში დაცვის სიმბოლოდ იყენებდნენ. „ნარშავის ორდენი“ რაინდთა ერთ-ერთი უმაღლესი ორდენია. იგი დაფუძნდა 1687 წელს, ძირითადად, მას აძლევენ შოტლანდიელ არისტოკრატებს (რომელთა რაოდენობა თქვენსმეტია).

წმინდა პატრიკის დღე (17 მარტი) ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნული დღეა და ოფიციალურად დიდ დღესასწაულად ითვლება. ირლანდიის ეროვნული ემბლემა სამეურაა. ლეგენდის თანახმად, წმინდა პატრიკმა ეს მცენარე იმიტომ აიარა, რომ ირლანდიელუბისათვის სამეხის ქრისტიანული დოქტრინა ეჩვენებინა.

წმინდა დავითის დღე (1 მარტი) წმინდა დავითის საეკლესიო დღესასწაულია. წმინდა დავითი, ბერი და ეპისკოპოსი, უელსის

მფარველი წმინდანია. ეს დღე უელსის ეროვნულ დღესასწაულად ითვლება, თუმცა ოფიციალურად არ აღინიშნება.

მიუხედავად ამისა, ამ დღეს ბევრი ვალიელი პიჯაკზე ყვითელ ნარცისს ან პრასს იბნევს, რადგან ორივე მცენარე უელსის ეროვნულ სიმბოლოებადაა მიჩნეული.

სამეფო გერბზე გამოსახული სამი ლომი ინგლისის სიმბოლოა, უკანა თათებზე მდგარი ლომი — შოტლანდიის სიმბოლოა, ხოლო არცა — ირლანდიის. ყველა მათგანი წრეშია მოთავსებული, რომელთა საყრდენს ლომი და მარტორქა წარმოადგენს. უკვე შრავალი საუკუნეა, რაც ლომი ეროვნული სიმბოლოს და ბრიტანეთის მონარქიის სიმბოლოდ ითვლება. მითიური ცხოველი მარტორქა, რომელიც რქიან ცხენს ჰგავს, შოტლანდიისა და ბრიტანეთის გერბებზე საუკუნეების წინ გაჩნდა და სიწმინდის სიმბოლოდ ითვლება.

შეერთებული სამეფოს ეროვნული ჰიმნია „ღმერთო, დაიფარე დედოფალი“. მას XVIII საუკუნის შუა ხანებიდან იყენებენ. მისი წარმომავლობა დღემდე საკამათოა; მას სხვადასხვა კომპოზიტორს მიაწერენ.

20. RELIGION

Church of England (Anglican Church) originated during the Roman occupation in the 2nd century. The Celtic Christian church fused later with the missionary church of St Augustine who founded the See of Canterbury in 597. At the Reformation the supremacy of the pope was repudiated and the English sovereign (Henry VIII) replaced him, assuming the right to appoint archbishops and bishops. In England, the Church is organized into 2 ecclesiastical provinces, headed by the archbishops, Canterbury and York, divided respectively into 29 and 14 bishoprics (dioceses).

The people of Great Britain are overwhelmingly Protestant. A few of the oldest and noblest families are Catholic. Altogether only three of the islands fifty-nine millions of inhabitants are Catholic. At present the Protestant population of England is evenly divided between those who are adherents of the Church of England and those who are attached to the Free Churches (the 'Nonconformists' who are generally Methodists, Baptists, Congregationalists or Presbyterians). In Scotland the mass

of the people belong to the Presbyterian Church of Scotland and in Wales most of the people belong to Nonconformist denominations.

Because it is an established Church, the Church of England is to a certain extent involved in politics. Its head is the King (Queen) of England and representatives of the Church sit in the House of Lords and help to make the law of the land. It is the Anglican clergy who perform the ceremony of crowning the King and who open Parliament with prayer. The creed of the Church of England is established by the parliamentary statute and may be changed only by parliamentary action.

More important than its present state, however, is the historical influence of the opposition between the Church of England and Nonconformity. In the Church of England authority traditionally has come from above and it is natural for those accustomed to authority in the church to support it in the state.

The English Nonconformists, in contrast, have tended to be critical of state authority ever since their persecution in the seventeenth century. The Congregationalists (who still call themselves 'Independents') and Baptists practised a peculiarly loose and individualistic form of church organization. Authority rested in the congregation not in a clerical hierarchy and members were free at any time to withdraw and form a new church.

Today it is noteworthy that all of the British church co-operate in programmes of social betterment.

20. რელიგია

ინგლისის ეკლესია (ანგლიკანური ეკლესია) რომაელთა ოკუპაციის დროს, II საუკუნეში წარმოიშვა. მოგვიანებით მოხდა კელტური ქრისტიანული ეკლესიის შერწყმა წმ. აგუსტინეს მისიონერულ ეკლესიასთან. წმ. აგუსტინემ 597 წელს დააარსა კენტერბერის ეპარქია. რეუორმაციის პერიოდში პაპის უზენაესობა უარყოფილ იქნა და ინგლისელმა მონარქმა (ჰენრი VIII-მ) შეცვალა ის. მან თავად აიღო არქიეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების დანიშვნის უფლება. ინგლისში ეკლესია ორი ეკლესიასტიკური ეპარქიისაგან შედგება, რომლებიც, შესაბამისად, 29 და 14 ეპარქიებადაა დაყოფილი და რომელთა წინამძღვარნი არიან კენტერბერისა და

იორკის არქიეპისკოპოსები.

ბრიტანელი ხალხის დიდი უმრავლესობა პროტესტანტია. უძველესა და უკეთილშობილეს ოჯახსა მცირე ნაწილი კათოლიკეა. ხულ კუნძულელთა ორმოცდაცხრამეტი მილიონიანი მოსახლეობიდან მხოლოდ სამი მილიონია კათოლიკე. ამჟამად ინგლისის პროტესტანტული მოსახლეობა თანაბრადაა გაყოფილი ინგლისის ეკლესიის მიმდევრებად და „თავისუფალი ეკლესიების“ მომხრეებად („ნონკომფორტიზტებად“, რომლებიც, ჩვეულებრივ, არიან მეოლისტები, ბაპტისტები, კონგრეგაციონალისტები, ან პრესბუტერიანელები). შოტლანდიაში ხალხის დიდი მასა შოტლანდიის პრესბუტერიანული ეკლესიას განეკუთვნება, ხოლო უელსში ხალხის დიდი ნაწილი ნონკომფორმისტულ ხექტებს მისდევს.

რადგანაც ინგლისის ეკლესია სახელმწიფო ეკლესიაა, ის გარკვეულწილად პოლიტიკაშია ჩაბმული. მისი მეთაური ინგლისის მეფეა (ან დედოფალი). ეკლესიის წარმომადგენლები ღირსთა პალატაში სხედან და ქვეყნის კანონების შექმნაში თავისი წვლილი შეაქვთ. სწორედ ანგლიკანურა სამღვდელთა ატარებს მეფედ კურთხევის ცერემონიალს და ხსნის პარლამენტს ღოცვით. ინგლისის ეკლესიის კრედიო პარლამენტის სტატუსით დგინდება და მხოლოდ პარლამენტს შეუძლია მისი შეცვლა. თუმცა, მის დღევანდელ მდგომარეობაზე გაცილებით მნიშვნელოვანია ინგლისის ეკლესიასა და ნონკომფორმისტებს შორის დაპირისპირების ისტორიული ზეგავლენა. ინგლისის ეკლესიის მმართველობა, ტრადიციულად, ზემოდან ხდებოდა და ბუნებრივია, რომ ის, ვინც ეკლესიაში მმართველობასაა მიხევეული, სახელმწიფო მმართველობასაც შეუწყობს ხელს.

საპირისპიროდ, ინგლისელი ნონკომფორმისტები, დაწვებული XVII საუკუნიდან, როდესაც მათ დევნიდნენ, დღემდე, კრიტიკულად არიან განწყობილი სახელმწიფო მმართველობის მიმართ. კონგრეგაციონალისტთა (ისინი თავისთავს „ინდიპენდენტებსაც“ — „დამოუკიდებლებს“ უწოდებენ) და ბაპტისტთა ეკლესიების იერარქიული წყობა კი უფრო თავისუფალი და ინდივიდუალურია. ეკლესიას მრეკლი მართავს და არა ეკლესიური იერარქია, წევრებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გამოვიდნენ ეკლესიიდან და ახალი ეკლესიები შექმნან.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის ეკლესიები სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამებში იღებენ მონაწილეობას.

21. LANGUAGE VARIATION

English is the main language spoken in Britain, although with many regional variations in terms of accent and phraseology. It is also one of the most widely used in the world; recent estimates suggest that over 400 million people speak it as their first language, with a similar number speaking it as a second language. Modern English derives primarily from one of the dialects of Anglo-Saxon, but has been very greatly influenced by other languages over time.

About 13 per cent of the population of Wales speak the Welsh language, which is of the Celtic origin. They are concentrated in the rural north and west, where Welsh remains the first language of most of the population. Both the government and voluntary groups have taken steps to revive the use of Welsh for official purposes and in broadcasting. In the context of dealing with public authorities and the administration of justice in Wales, Welsh and English are treated on an equal basis.

Gaelic, also a language of Celtic origin is still spoken by some 70,000 people in Scotland; the greatest concentration of Gaelic speakers is in the island of the Hebrides. People in the central lowlands of Scotland have for centuries spoken Scottish, a dialect derived from the Northumbrian branch of old English. This has its own recognised literary tradition and has seen a revival in poetry in the 20th century. Many words and phrases from the Scots tongue are retained in the everyday English which is spoken throughout Scotland.

Many other languages are spoken by the ethnic minority communities living in Britain.

21. ენობრივი ვარიაციები

დიდ ბრიტანეთში ინგლისური სახელმწიფო ენაა, თუმცა ბევრი რეგიონალური ვარიაცია გააჩნია აქცენტსა და ფრაზოლოგიაში. ის, აგრეთვე, ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ენაა მსოფლიოში, თანამედროვე მონაცემებით დაახლოებით 600 მილიონი ადამიანისათვის ის მშობლიური ენაა, ხოლო დაახლოებით 400 მილიონისათვის, კი, მეორე ენად ითვლება. თანამედროვე ინგლისური, ძირითადად, ანგლო-საქსონურის ერთ-ერთი დიალექტი

ტისაგან განვითარდა, თუმცა დროთა განმავლობაში სხვა ენებმაც დიდი გავლენა მოახდინა მასზე.

უელსის მოსახლეობის დაახლოებით 13 პროცენტი ვალიურ ენაზე — კელტური წარმოშობის ენაზე ლაპარაკობს. მოსახლეობის ეს ნაწილი ცხოვრობს ჩრდილოეთსა და დასავლეთში და ვალიური მათი უმეტესი ნაწილის მთავარ ენად რჩება. მთავრობისა და მოხალისეთა ჯგუფების მიერ გადაიდგა არაერთი ნაბიჯი ვალიური ენის ასაღორძინებლად და გამოსაყენებლად ოფიციალური მიხედვისა და ტელე-რადიო გადაცემებისათვის. რაც შეეხება სახოგადოებრივ მმართველობებსა და სასამართლო ადმინისტრაციას, ვალიური და ინგლისური თანაბარ საწყისებზეა მიღებული.

გელურზე, კელტური წარმოშობის ენაზე, დაახლოებით 70,000 ადამიანი ლაპარაკობს შოტლანდიაში, გელურ ენაზე მოლაპარაკეთა უდიდესი ნაწილი ჰებრიდის კუნძულებზე ცხოვრობს.

შოტლანდიის ცენტრალურ დაბლობებზე ხალხი საუკუნეების განმავლობაში ლაპარაკობდა შოტლანდიურ ენაზე, ძველი ინგლისურის უორთემბრიული შტოსაგან წარმოქმნილ დიალექტზე. მას თავისი ცნობილი ლიტერატურული ტრადიცია გააჩნია და თავის გადარჩენა XX საუკუნის პოეზიაში პოვა.

ყოველდღიურ ინგლისურში შოტლანდიურიდან წარმოქმნილი მრავალი მოტივი და ფრაზაა შენარჩუნებული.

ეთნიკური უმცირესობანი, რომლებიც ბრიტანეთში ცხოვრობენ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ.

22. THE HISTORY OF THE ENGLISH LANGUAGE

English belongs to the Indo-European family of languages. English is hundreds of years old. However, the English we speak today is not the same as the English of long ago. The language has changed and developed over the years.

Around 500 BC, people called Celts moved to Britain. They came from central and western Europe. Their language, Celtic, became the language of Britain.

In 43 AD Romans arrived in Britain. They spoke a different language, Latin. However, Latin did not affect Celtic much. Only a few Latin words entered the Celtic language; some examples are: candle, master, port.

The Romans left Britain in the 400s. Soon after Britain was invaded by three Germanic tribes called the Angles, the Saxons, and the Jutes. Because they came from different places, they all spoke different versions of the same language. After they arrived in Britain, they started to speak the same language, Old English, which replaced Celtic. Old English lasted past the year 1000.

In 1066, French people called Normans conquered England and since then everything to do with government and the law, the army and education was in French. By 1400 thousands of French words had entered the English language, e. g. colour, dinner, government. The new language, called Middle English, lasted from about 1100 to 1500.

Around 1500 English vowel sounds began to change. But word spellings, however, stopped changing. With the invention of the printing press, around 1450 people started to use standard spellings for words. The language spoken after 1500 became known as Modern English. More exactly what we call "Modern English" comes from the period immediately following the publication of the Bible and Shakespeare's death. Generally 1640 is considered to be the beginning of modern English and the language has changed remarkably little ever since.

Modern English is the English we use today. The language continues to grow and to incorporate new words constantly.

22. ინგლისური ენის ისტორია

ინგლისური ინდო-ევროპულ ენებს ეკუთვნის. იგი ასობით წელს ითვლის. თუმცა, ინგლისური ენა, რომელზედაც დღეს ვლაპარაკობთ, იგივე არ არის, რაც დიდი ხნის წინ იყო. ენა შეიცვალა და განვითარდა წლების განმავლობაში.

დაახლოებით 500 წ. ჩვ. წ. აღ-მდე, ხალხი, რომელსაც კელტებს უწოდებდნენ, ბრიტანეთში დასახლდა. ისინი ცენტრალური და დასავლეთ ევროპიდან იყვნენ. მათი ენა, კელტური, ბრიტანეთის ენა გახდა.

43 წ. ჩვ. წ. აღ-ით რომაელები ჩავიდნენ ბრიტანეთში. ისინი სხვა ენაზე — ლათინურად ლაპარაკობდნენ. მაგრამ ლათინურმა ენამ ვერ მოახდინა დიდი გავლენა კელტურ ენაზე. მხოლოდ რამდენიმე ლათინური სიტყვა შევიდა კელტურ ენაში. ამის მაგალი-

თია: candle (სანთელი), master (პატრონი), port (პორტი).

რომაელებმა ბრიტანეთი 400-იან წლებში დატოვეს. ამის შემდეგ ძალიან მალე ბრიტანეთი სამმა გერმანულმა ტომმა დაიპყრო — ესენი იყვნენ ანგლები, საქსები და იუტები. ისინი სხვადასხვა ადგილებიდან იყვნენ და ერთი და იგივე ენის სხვადასხვა ვარიანტზე ლაპარაკობდნენ. ბრიტანეთში ჩასვლის შემდეგ მათ ერთ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი — კერძოდ, „ძველ ინგლისურზე“, რომელმაც კელტური ენა შეცვალა. ძველ ინგლისურზე 1000 წელზე მეტ ხანს ლაპარაკობდნენ.

1066 წელს ფრანგებმა, რომელთაც ნორმანები ეწოდებოდათ, ინგლისი დაიპყრეს. 1400 წლისთვის ათასობით ფრანგული სიტყვა შევიდა ინგლისურ ენაში, მაგ. colour (ფერი), dinner (ხადილი), government (მთავრობა). ახალი ენის პერიოდი, რომელსაც საშუალო ინგლისური ენა ეწოდება, 1100 წლიდან 1500 წლამდე გაგრძელდა.

დაახლოებით 1500 წლისათვის ინგლისური ხმოვანი ბგერები შეიცვალა. მაგრამ სიტყვათა მართლწერა არ შეცვლილა. ბექდვის გამოგონებასთან ერთად, 1450 წლისათვის დაიწყო სიტყვების სტანდარტული მართლწერის გამოყენება. ენა, რომელზედაც 1500 წლის შემდეგ ლაპარაკობენ, ცნობილია, როგორც „თანამედროვე ინგლისური“. უფრო ზუსტად ის, რასაც „თანამედროვე ინგლისურს“ ვუწოდებთ, მომდინარეობს ბიბლიის გამოქვეყნებისა და შექსპირის გარდაცვალების პერიოდიდან. ზოგადად, 1640 წელი ითვლება თანამედროვე ინგლისურის დასაწყისად, და ენამ გასაოცრად მცირე ცვლილებები განიცადა მას შემდეგ.

თანამედროვე ინგლისური არის ენა, რომელზედაც დღეს ვლაპარაკობთ. ენა განაგრძობს განვითარებას და მუდმივად იცვება ახალი სიტყვებით.

23. THE ORIGIN OF THE BRITISH

People in the four lands of Britain derive from the following ancestral sources, notably: the prehistoric cultures which produced such impressive monuments as the stone circles of Avebury and Stonehenge; the ancient Celtic peoples who inhabited western and central Europe;

the Romans who occupied Britain for over 300 years from the invasion in AD 43;

the Angles, Saxons and Jutes – Germanic peoples who began raiding and settling in Britain from the third century;

Scots from Ireland who began to settle in what became known as Scotland in the sixth century (merging with the indigenous Picts to form one kingdom under Kenneth Muculpin in the ninth century);

the Vikings from Scandinavia, who pillaged and settled areas of Britain and Ireland from the end of the eighth century and the Normans from France, who invaded England in 1066.

The last thousand years have witnessed the assimilation of all these strands – and many new ones besides, following on from global exploration, the expansion of trade and international rivalry, and the growth of the Empire.

At the same time political, social, economic and religious trends, pressures and crisis have all evolved to create the beliefs and lifestyle that are prevalent among the people today.

23. ბრიტანეთის წარმოშობა

ბრიტანეთის ოთხი ქვეყნის ხალხი შემდეგი წარმომავლობისაა, კერძოდ:

პრეისტორიული წინაპრები, რომლებმაც შთამბეჭდავი ძეგლები შექმნეს, როგორცაა ვეებერთელა ქუები („ეიზბერი“ და „სტონ-სკენჯი“), რისგანაც დღეს ნანგრევებიაა დარჩენილი;

უძველესი კელტები, რომლებიც ცხოვრობდნენ დასავლეთ და ცენტრალურ ვროპაში;

რომაელები, რომლებიც შემოიჭრნენ 43 წელს ძვ. წ. აღ-ით და ბატონობდნენ ბრიტანეთში 300-ზე მეტი წლის განმავლობაში;

ანგლები, საქსები და იუტები – გერმანული წარმოშობის ხალხები, რომლებმაც ბრიტანეთში მესამე საუკუნიდან დაიწვეს შემოსევა და დასახლება;

შოტლანდიელები ირლანდიდან, რომლებმაც დასახლება დაიწვეს იმ ადგილას, რომელიც VI საუკუნეში ცნობილი გახდა, როგორც შოტლანდია (მოსდა შერწყმა აბორიგენ პიკტებთან, რათა წარმოქმნილიყო ერთი სამეფო კენეთ მუკულონის მმართველობით IX საუკუნეში);

ვიკინგები სკანდინავიიდან, რომლებიც ჯერ ძარცვავდნენ, შემ-

დეგ კი დასახლდნენ ბრიტანეთსა და ირლანდიაში VIII საუკუნის ბოლოს და ნორმანები საფრანგეთიდან, რომლებმაც ინგლისი 1066 წელს დაიპყრეს.

უკანასკნელ ათასწლეულში მოხდა ყველა ამ შტოს ასიმილაცია. მათ ბევრი სხვა ახალი დაემატათ, რაც გლობალური კვლევების, ვაჭრობისა და საერთაშორისო მეტოქეობის გაფართოებისა და იმპერიის ზრდის შედეგი იყო.

ამავე დროს პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა და რელიგიურმა მიმართულებებმა, სხვადასხვა სახის შემოქმედებამ თუ კრიზისებმა განაპირობა იმ რწმენისა თუ ცხოვრების სტილის ჩამოყალიბება, რომელიც ამჟამად გავრცელებულია ბრიტანეთში.

24. THE ANCIENT POPULATION

Britain has not always been an island. It became one only after the end of the last Ice Age. The temperature rose and the ice cap melted flooding the lower lying land that is now under the North Sea and the English Channel.

Around 10,000 BC as the Ice Age drew to a close, Britain was peopled by small groups of hunters and fishers. They followed herds of deer which provided them with food and clothing. By about 5,000 BC Britain had finally become an island and had also become heavily forested. For the hunter culture it was a disaster as the cold-loving deer and other animals on which they lived largely died out.

In the course of time different groups of people kept arriving in Britain, bringing their customs and skills. Like other primitive people in other parts of the world they lived in caves and hunted animals for food. Gradually they learned to grow corn and breed domestic animals. They made primitive tools and weapons of stone. Later they learned to smelt metal and make metal tools and weapons. Archaeologists find their tools and weapons as well as remains of primitive houses.

These people were religious though little is known about their religion. Some temples which they built still stand in many parts of England and Scotland. They are just circles of great stones standing vertically. These “hengés” as they are called, were centres of religious, political and economic power. The most spectacular, both then and now, was Stonehenge, which was built in separate stages over a period of more

than a thousand years. The precise purposes of Stonehenge remain a mystery, but during the second phase of building after about 2,400 BC, huge bluestones were brought to the site from South Wales. The movement of these bluestones was an extremely important event the story of which passed from generation to generation. Three thousand years later it was recorded in Geoffrey of Monmouth's "History of Britain", written in 1136.

Stonehenge was almost certainly a sort of capital to which the chiefs of other groups came from all over Britain. Certainly, constructions like Stonehenges were built in many parts of Britain, as far as the Orkney Islands, north of Scotland and as far south as Cornwall. In Ireland the centres of prehistoric civilization grew around the River Boyne and at Fara in Ulster.

24. უკველსი მოსახლეობა

ბრიტანეთი ყოველთვის კუნძული როდი იყო. ის კუნძულად უკანასკნელი „გამყინვარების“ ბოლოს იქცა. ტემპერატურამ აიწია, ყინულის საფარველი დადნა და წყალმა დაფარა ხმელეთის გარკვეული ნაწილი, რომელიც ახლა ჩრდილოეთის ზღვის და ლამანსის სრუტის ქვეშ მდებარეობს.

დაახლოებით 10,000 წლის წინ ჩვ. წ. აღ-მდე, როდესაც გამყინვარება დასასრულს უახლოვდებოდა, ბრიტანეთი დასახლებული იყო მონადირეებისა და მკეთვეზების ჯგუფებით. ისინი ირმების ჯოგებზე ნადირობდნენ და ამით საკვებსა და ტანსაცმელს მოიპოვებდნენ. დაახლოებით 5,000 წლისთვის ჩვ. წ. აღ-მდე, ბრიტანეთი საბოლოოდ იქცა კუნძულად, რომელიც უდაბური ტყით ყოფილა დაფარული. მონადირეთათვის ეს ნამდვილი კატასტროფა იყო, რადგან სიცოცხის მოყვარული ირემი და სხვა ცხოველები, რითაც ისინი საზრდოობდნენ, გადაშენდა.

დროთა განმავლობაში სხვადასხვა ხალხის ჯგუფები ჩადიდნენ ბრიტანეთში და თან ჩაჰქონდათ თავისი წეს-ჩვეულებები, სხვადასხვა ხელობა. ისე, როგორც ყველა სხვა პრიმიტიული ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ისინიც გამოქვაბულში ცხოვრობდნენ და საკვებს ნადირობით მოიპოვებდნენ. თანდათანობით მათ ისწავლეს ხორბლის მოყვანა და მოიშინაურეს ცხოველები. აკეთებდნენ პრიმიტიულ სამუშაო იარაღს და ქვის იარაღებს.

შემდგომ მეტალის დამუშავება ისწავლეს და მეტალის სამუშაო იარაღს აკეთებდნენ. არქეოლოგების მიერ ნაპოვნია სამუშაო იარაღი, აგრეთვე, პრიმიტიული სახლების ნაშთები.

ეს ხალხი რელიგიურად იყო, თუმცა ცოტა რამ თუ არის ცნობილი მათი რელიგიის შესახებ. ზოგიერთი ტაძარი, რომელთაც ისინი აშენებდნენ, ისევე ბევრ ადგილას დგას ინგლისსა და შოტლანდიაში. ისინი ვერტიკალურად მდგარი დიდი ქვებისაგან შექმნილი წრეებია. ეს "Henges", როგორც მათ უწოდებენ, რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ცენტრები იყო. მათ შორის ყველაზე სანახაობრივი, ძველადაც და ახლაც, არის სტონჰენჯი, რომელიც ეტაპობრივად შენდებოდა ათასზე მეტი წლის განმავლობაში, სტონჰენჯის ზუსტი დანიშნულება კვლავ საიდუმლოდ რჩება, შენების მეორე ფაზის განმავლობაში, ჩვ. წ. აღ-მდე 2,4000 წლის შემდეგ, სამხრეთ უელსიდან უზარმაზარი ლურჯი ქვები ჩამოიტანეს.

ამ ლურჯი ქვების გადატანა უადრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომლის ისტორიაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. სამი ათასი წლის შემდეგ, 1136 წელს ის ჯეფრი მონმათმა აღწერა „ბრიტანეთის ისტორიაში“.

სტონჰენჯი ერთგვარი დედაქალაქით იყო, სადაც სხვადასხვა ჯგუფის ბელადები მოელი ბრიტანეთიდან ჩადიდნენ. ისიც უეჭველია, რომ სტონჰენჯის მსგავსი კონსტრუქციები ბრიტანეთის მრავალ მხარეში იყო აშენებული: ორკნის კუნძულებზე, შოტლანდიის ჩრდილოეთით, კორნუოლში და ა. შ. ირლანდიაში წინაისტორიული ცივილიზაციის ცენტრები მდინარე ბონისის მიდამოებში და ტარაში (ოლსტერი) იყო.

25. WHO WERE THE BRITONS?

The Revolt of Queen Boadicea

Around 700 BC new people appeared in Britain. Many of them were tall, and had fair or red hair and blue eyes. These were the Celts, who probably came from central Europe or further east, from southern Russia and had moved slowly westwards in earlier centuries. Our knowledge of the Celts is slight. The Celts were organized into different tribes

and tribal chiefs were chosen from each family or tribe. They were technically advanced. They knew how to work with iron and could make better weapons than the people who used bronze. They began to control all the lowland areas of Britain and were joined by new arrivals from the European mainland.

The Celtic tribes were ruled over by a warrior class of which the priests, or Druids, seem to have been particularly important members. These Druids could not read or write but they memorized all the religious teachings, the tribal laws, history, medicine and other knowledge necessary in Celtic society. Little is known of this kind of worship except that at times it included human sacrifice. They had no temples but they met in sacred groves of trees on certain hills or by rivers.

The Romans called these people Britains and the island – Britannia. In the course of centuries the Britons partly killed the native population and partly mixed with it.

The Britons were skillful workers. They made things out of iron, bronze, tin, clay and wood and decorated them with beautifully drawn lines and patterns. They made money out of gold and silver. They began to make roads, along which they travelled about the country, buying and selling things.

There were some good and rather big houses in Britain with many rooms and corridors. The richer Britons lived in these big houses and were “very careful about cleanliness and neatness”.

The Britons often fought among themselves. The remains of forts built by Britons can be seen in different parts of the country.

The Celts are important in British history because they are the ancestors of many of the people in Highland Scotland, Wales, Ireland and Cornwall today. The Iberian people of Wales and Cornwall took on the new Celtic culture. Celtic languages which have been continuously used in some areas since that times, are still spoken. The British today are often described as Anglo-Saxon, but some scientists think it would be better to call them Anglo-Celt.

During the Celtic period women may have had more independence than they had again for hundreds of years. When the Romans invaded Britain two of the largest tribes were ruled by women who fought from their chariots. One of these two was the tribe of the Iceni who lived in what is now Norfolk. In those days this part of England was covered with swamps, and the Roman soldiers had never completely conquered it.

Less than twenty years after the Roman invasion, the men of the Iceni tribe revolted headed by their warlike Queen Boadicea.

The Roman army was far away fighting in North Wales, when Boadicea with 10.000 fighting men destroyed first the Roman town of Colchester, and then the towns of London and St Albans. These towns were all turned to the ground, and all the people were cruelly killed.

At that time the Roman Governor of Britain was a famous soldier named Suetonius. When the news of the revolt of the Iceni reached him, he was in the middle of a campaign against the men of Wales. In spite of this he marched across England to attack Boadicea and the Iceni as soon as possible.

He had about 10.000 trained Roman soldiers with him “Boadicea had ten times the number”, but Suetonius had no doubt that the training and discipline of the Roman army would bring the Romans the victory.

Suetonius placed his men on the slope of a hill protected by woods on both sides. The British thought that the Romans were trapped and they crowded in the woods to attack them. At the right moment when Boadicea’s men were so crowded together that they could not use their arms, the Romans attacked, and Queen Boadicea’s army was completely beaten.

25. 306 იყვანეს ბრიტანები?

დედოფალ ბოუდისეიას აჯანყება

დაახლოებით 700 წელს ჩვ. წ. აღ-მდე ახალი ხალხი გამოიხდა ბრიტანეთში. მათი უმრავლესობა მაღალი იყო და ქერა ან წითელი თმა და ლურჯი თვალები ჰქონდა. ისინი კელტები იყვნენ, რომლებიც, ალბათ, ადრეულ საუკუნეებში, ცენტრალური ევროპიდან ან შორეული აღმოსავლეთიდან და სამხრეთ რუსეთიდან წელნულა დასავლეთისკენ მიდიოდნენ. კელტების შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. კელტები სზვადასხვა ტომში იყვნენ შეერთებული და ტომების ბელადებს თითოეული ოჯახიდან ან ტომიდან ირჩევდნენ. ისინი ტექნიკურად უფრო პროგრესულები იყვნენ. იცოდნენ, როგორ ემუშავათ რკინაზე და უკეთეს იარაღს ამზადებდნენ, ვიდრე ის ხალხი, ვინც ბრინჯაოს იყენებდა. მალე მათ დაიწყეს ბრიტანეთის

მთელი დაბლობის გაკონტროლება და მათ შეუერთდნენ ვეროპის კონტინენტიდან ახალმოსულები. რომაელებმა ამ ხალხს ბრიტები, ხოლო კუნძულს — ბრიტანია უწოდეს. საუკუნეების განმავლობაში ბრიტებმა ნაწილობრივ დაზოცეს მკვიდრი მოსახლეობა და ნაწილობრივ შეერივნ მათ.

კელტურ ტომებს მართავდა მეომარი კლასი, რომელთაგან მღვდლები ან დრუიდები, განსაკუთრებულ, მნიშვნელოვან წევრებს წარმოადგენდნენ. დრუიდებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, მაგრამ ზეპირად იცოდნენ ყველა რელიგიური მოძღვრება, ტომის კანონები, ისტორია, მედიცინა და სხვა, რაც საჭირო იყო კელტური საზოგადოებისათვის. ცოტა რამ არის ცნობილი, ვისი ან რისი თაყვანისმცემლები იყვნენ ისინი, გარდა იმისა, რომ ზოგჯერ მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ. ტაძრები არ ჰქონდათ, შეზღუდვები იმართებოდა განსაზღვრულ ბორცვებზე წმინდა კორომებისთან ან მდინარეებთან.

ბრიტები უნარიანი მუშაკები იყვნენ. ისინი საგნებს ამზადებდნენ რკინის, თუნუკის, თიხისა და ზისაკან და მათ ლამაზად დახატული ხაზებითა და ნიმუშებით რთავდნენ. ჭრიდნენ ფულს ოქროსა და ვერცხლისაგან. დაიწყეს გზების გაყვანა. მოგზაურობდნენ მთელ ქვეყანაში და ყიდულობდნენ და ყიდდნენ სხვადასხვა ნივთებს.

იმ დროს ბრიტანეთში კარგი და დიდი სახლების საკმაო რაოდენობა იყო ბევრი ოთახითა და დერეფნით. ამ დიდ სახლებში მდიდარი ბრიტები ცხოვრობდნენ და „ძალზედ ზრუნავდნენ სისუფთავესა და აკურატულობაზე“.

ბრიტები ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს. მათ მიერ აგებული ციხე-სიმაგრეების ნარჩენების ნახვა დღესაც შეიძლება ბრიტანეთის სხვადასხვა ნაწილში.

კელტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბრიტანეთის ისტორიაში, რადგან ისინი იმ ხალხების წინაპრები არიან, ვინც ამჟამად შოტლანდიის მთიანეთში, უელსში, ირლანდიასა და კორნუოლში ცხოვრობს. უელსისა და კორნუოლის იბერიელმა ხალხმა ახალი კელტური კულტურა მიიღო. კელტურ ენაზე, რომელსაც იყენებდნენ ზოგიერთ ტერიტორიაზე, ახლაც ლაპარაკობენ. დღესდღეობით ბრიტანელებს ხშირად ანგლო-საქსებიად მოიხსენიებენ, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ უძველესი იქნებოდა მათთვის ანგლო-კელტები გვეწოდებიან.

კელტურ პერიოდში ქალებს უფრო მეტი დამოუკიდებლობა ჰქონდათ, ვიდრე შემდგომი ასეულობით წლების განმავლობაში.

როდესაც რომაელებმა დაიპყრეს ბრიტანეთი, ორ უდიდეს ტომს ქალები მართავდნენ, რომლებიც საკუთარ ეტლებში მსხდომნი იბრძოდნენ. ერთ-ერთი მათგანია აისინაის ტომი, რომელიც ახლანდელი ნორფოლკის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. იმ პერიოდში ინგლისის ეს ნაწილი ჭაობით იყო დაფარული და რომაელებმა ჯარისკაცებმა ვერ შეძლეს მისი მთლიანად დაპყრობა.

რომაელთა დაპყრობიდან ოცი წლის შემდეგ აისინაის ხალხი დედოფალ ბოუდისეიას მეთაურობით აჯანყდა.

რომაელთა ჯარი მათგან შორს, ჩრდილოეთ უელსში იბრძოდა, როდესაც ბოუდისეიამ 10.000 მებრძოლით თავდაპირველად ქალაქი კოლჩესტერი, შემდეგ კი ქალაქები ლონდონი და სენტოლბენსი დაანგრია. ეს ქალაქები გადაწვეს და ხალხი უმწყვდლოდ ამოხოცეს.

იმ დროს ბრიტანეთის რომელი მმართველი ცნობილი ჯარისკაცი, სახელად სუეტონიუსი იყო, როდესაც მან აისინაის აჯანყების შესახებ შეიტყო, უელსის ჯარის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში იყო ჩაბმული. მიუხედავად ამისა, მაშინვე იქით გაემართა, რათა საჩქაროდ თავს დასხმოდა ბოუდისეიასა და აისინაის. მას დაახლოებით 10.000 გაწვრთნილი რომაელი ჯარისკაცი ახლდა. ბოუდისეიას ხალხი რომაელებს ათჯერ აღემატებოდა. მაგრამ სუეტონიუსს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რომაული ჯარის წერთნა და დისციპლინა მათ გამარჯვებას მოუტანდა.

სუეტონიუსმა თავისი ხალხი ტყით დაფარული გორაკის ორივე ფერდობზე განალაგა. ბრიტანელებმა იფიქრეს, რომ რომაელები მახეში გაეხსნენ და ტყეში დაჯგუფდნენ, რომ მათ თავს დასხმოდნენ. იმ მომენტში, როდესაც ბოუდისეიას ხალხი ისე იყო შეჯგუფული, რომ იარაღის ხმარება არ შეეძლოთ, რომაელები შეტევაზე გადავიდნენ. დედოფალ ბოუდისეიას ჯარი დამარცხდა.

26. THE ANGLO-SAXONS

Towards the end of the 4th century when the Romans had to leave Britain in order to defend their own country the Britons were left to themselves but they had very little peace. Very soon sea-robbers came sailing in ships from the continent. These invaders were Germanic tribes called Angles, Saxons and Jutes. At first they only raided Britain, but after 430 AD they began to settle. They were warlike, fearless and

illiterate people and the Britons could never drive them away. The Britons fought bravely against the enemies but the enemies were stronger. They took houses, fields and cattle from the Britons and at last they were forced to retreat to the west of Britain, which the Saxons called "Wales" meaning "the land of the foreigners".

For a long time the tribes of Angles, Saxons and Jutes fought with one another for supreme power. The Angles got most of the land and became the strongest tribe. As time went on the two peoples - the Angles and the Saxons grew into one and were called Anglo-Saxons. They called their speech English and their country England - that is "the Land of the Angles". The Anglo-Saxons formed seven kingdoms - Kent, Essex, Wessex, Mercia, East Anglia, Sussex and Northumbria; in history they are commonly called the Heptarchy, hepta meaning seven. These kingdoms were at war with one another. The stronger kings took the land from the smaller kingdoms. By the middle of the 7th century the three largest kingdoms, those of Northumbria, Mercia and Wessex, were the most powerful.

The Anglo-Saxons were tall, strong men with blue eyes and long blonde hair. They were dressed in tunics and cloaks which they fastened with a brooch above the right shoulder. On their feet they wore rough leather shoes. The women wore long dresses with wide sleeves. Their heads were covered with a hood.

The Anglo-Saxons lived in small villages. Round each village there was a ditch and an earthen wall with a wooden fence on top. The earthen wall and the fence served to defend the village against robbers and wild beasts.

In their villages they bred cows, sheep and pigs. They ploughed the fields and grew wheat, rye or oats for bread and barley for beer.

The Anglo-Saxons created institutions which made the English state strong for the next 500 years. One of these institutions was the King's Council called the Witan. The Witan was a formal body issuing laws and charters. It was not at all democratic and the king could decide to ignore the Witan's advice but he knew that it might be dangerous to do so. For the Witan's authority was based on its right to choose kings, and to agree the use of the king's law without its support the king's own authority was in danger.

By the time the Anglo-Saxons conquered Britain, they had already had letters of their own called "runes" which they carved on stone and wood.

But they had no written language yet, and the stories and poems they made up had to be memorized and handed to children and grandchildren and subsequently reached the times when certain people who had learned to write, called "scribes," decided to put them down. These poems were brought to Britain by the Anglo-Saxons. One very beautiful poem called "Beowulf" has reached our days. This period may be called the "dawn" of English literature. The manuscript of "Beowulf" compiled by an unknown scribe in the 10th century is kept in British Museum, in London.

26. ანგლო-საქსები

IV საუკუნის ბოლოსათვის, როდესაც რომაელებს მოუხდათ ბრიტანეთის დატოვება, რათა საკუთარი ქვეყანა დაეცვათ ბრიტები თავის ანაბრად დარჩნენ მიტოვებულნი, მაგრამ მშვილობა ვერ დაამყარეს. ძალიან ძალე კონტინენტიდან ზღვის ვაჩალები გაემუბით მოადგნენ მათ ეს დამპყრობლები გერმანული ტომები იყვნენ; მათ ანგლები, საქსები და იუტები ეწოდებოდათ. დასაწყისში ისინი მხოლოდ თავს ესხმოდნენ ბრიტანეთს, მაგრამ ჩვ. წ. აღ.-ით 430 წლის შემდეგ იქ დასახლდნენ. ისინი ომის მოყვარული, უშიშარი და გაუნათლებელი ხალხი იყო და ბრიტებმა ვერ შეძლეს მათი განდევნა. ბრიტები მამაცურად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ, მაგრამ მტერი უფრო ძლიერი იყო. მათ სახლები, მინდვრები და საქონელი წაართვეს ბრიტებს და ბოლოს აიძულეს უკან დაეხიათ ბრიტანეთის დასავლეთისაკენ, რომელსაც საქსებმა "Wales" (უელსი) უწოდეს, რაც „უცხოელთა მიწას“ ნიშნავდა.

დიდი ხნის განმავლობაში ანგლების, საქსების და იუტების ტომები ძალაუფლების მოსაპოვებლად ერთმანეთს ებრძოდნენ. ანგლებმა მიწის უფრო დიდი ნაწილი ჩაიგდეს ხელს და უძლიერეს ტომად იქცნენ. დროთა განმავლობაში მოხდა ორი ხალხის — ანგლებისა და საქსების შერწყმა და მათ ანგლო-საქსები ეწოდათ. თავის ენას ისინი ინგლისურს, ხოლო ქვეყანას ინგლისს, ანუ „ანგლების მიწას“ უწოდებდნენ. ანგლო-საქსებმა შვიდი სამეფო შექმნეს: კერტი, ესექსი, უესექსი, მერსია, ისტ ანგლია, სასექსი, ნორთუმბრია. ისტორიაში მათ ჩვეულებრივ კეპტარქიას უწოდებენ (hepta — ნიშნავს შვიდს). ეს სამეფოები ერთმანეთთან ვანუწყვეტელ ომს აწარმოებდნენ. უფრო ძლიერი მეფეები მიწებს ართმევდნენ უფრო პატარა სამეფოებს. VII საუკუნის შუახანებისათვის

სამი უდიდესი უძლიერესი სამეფო იყო — ნორთუმბრია, მერსია და უესსქსი.

ანგლო-საქსები მაღალი, ძლიერი ხალხი იყო, ლურჯი თვალებითა და ქერა თმით. ტუნიკებსა და მოსასხამებს ატარებდნენ, რომლებსაც მარჯვენა მხარზე ბროშით იკრავდნენ. ფეხთ უხეში ტყავის ფეხსაცმელი ეცვათ. ქალებს ფართო სახელოებიანი გრძელი კაბები ეცვათ, თავზე ქუდი ეხურათ.

ანგლო-საქსები პატარა სოფლებში ცხოვრობდნენ. ყოველი სოფლის ირგვლივ მიწა იყო გათხრილი და მიწის კედელი იყო აღმართული, რომლის თავზეც ზის ღობე იყო. მიწის კედელი და ღობე სცავდა სოფელს ყაჩაღებისა და გარეული ცხოველებისაგან.

სოფლებში მათ ჰყავდათ ძროხა, ცხვარი და გოჭები. ისინი გუთნით ამუშავებდნენ მინდვრებს და მოჰყავდათ ხორბალი, ჭვავი და შვრია პურისათვის და ქერი ღუდის გამოსახდელად.

ანგლო-საქსებმა შექმნეს სისტემა, რომლის მეშვეობითაც შემდგომი 500 წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა ინგლისური სახელმწიფოს გაძლიერება. ერთ-ერთი ამ სისტემაში იყო მეფის სათათბირო, რომელსაც „ვიტანი“ ეწოდებოდა. „ვიტანი“ იყო ოფიციალური ორგანო, რომელიც კანონებსა და ქარტიებს გამოსცემდა. ის სრულიადაც არ იყო დემოკრატიული და მეფეს შეეძლო „ვიტანის“ რჩევის იგნორირება, მაგრამ მან იცოდა, რომ ამის გაკეთება შეიძლება სახიფათო ეოფილიყო, რადგანაც „ვიტანის“ პრეროგატივა იყო მეფის არჩევა და მეფის კანონზე თანხმობის მიცემა. „ვიტანის“ მხარდაჭერის გარეშე მეფის ავტორიტეტს საფრთხე ემუქრებოდა.

ამ დროს, როდესაც ანგლო-საქსებმა ბრიტანეთი დაიპყრეს, მათ უკვე ჰქონდათ საკუთარი ასოები, რომლებსაც „runes“ ეწოდებდნენ და ქვასა და ხეზე ამოკვეთავდნენ. მაგრამ ჯერაც არ ჰქონდათ სამწერლო ენა და ის მოთხრობები და პოემები, რომლებსაც ისინი თხზავდნენ, თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. ბოლოს დადგა ხანა, როდესაც გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც წერაკითხვა ისწავლეს; მათ „გადაწერები“ ეწოდებოდათ, რადგან შეუძლოთ ამ მოთხრობების და პოემების ჩაწერა. ერთ-ერთი ასეთი პოემაა „ბეოვულფი“. ამ პერიოდს ინგლისური ლიტერატურის „გარიჟრაჟი“ ეწოდება. „ბეოვულფის“ ხელნაწერი, შედგენილი უცნობი „გადაწერის“ მიერ, ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.

27. THE ROMAN RULE

The name “Britain” comes from the word “Pretani”, the Greco-Roman word for the inhabitants of Britain. The Romans mispronounced the word and called the island “Britannia”.

In the year 55 BC the great Roman general Julius Caesar sailed to Britain with about 12000 soldiers in eighty ships. The Britons, armed with spears and swords, were ready to fight them. The Roman soldiers won the battle but did not stay long and soon departed. It was not until almost a century later in 43 AD that a Roman army actually occupied Britain.

For the next three hundred and twenty-five years Britain remained a Roman province, governed by Roman Governors and protected by the Roman legions. During this time there were long periods of peace, and Britain became a civilized country of towns and villages and good roads. Strangely enough London was not the chief town in early Roman times. The capital city, from which the Romans governed the island, was Colchester.

Many of the towns the Romans built were large. The names of modern towns ending in -chester or -caster, like Dorchester or Lancaster, come from the Latin word “castra” meaning a camp or a fortified place.

Each large town had a theatre, open to the sky, with some seats in a great semi-circle. Many towns had amphitheatres like the Coliseum in Rome, but smaller. Here the soldiers did military exercises and played all sorts of games.

There were shops in all Roman-British towns. They were usually located on two sides of the main square. The shops were of all kinds: butcher's, baker's and greengrocer's; there were shoemaker's and locksmith's, carpenter's and jeweller's shops.

The social centre of every town was the great building of the baths. This building usually occupied one side of the main square and contained in addition to the hot and cold baths, the law courts, the municipal offices, the school building and the gymnasium.

The Romans brought the skills of reading and writing to Britain. Though the Celtic peasantry remained illiterate and only Celtic-speaking, a number of town dwellers spoke Latin and Greek with ease, and the rich landowners in the country almost certainly used Latin. But

Latin completely disappeared both in its spoken and written forms when the Anglo-Saxons invaded Britain in the fifth century AD. Britain was probably more literate under the Romans than it was to be again until the fifteenth century.

Roman control of Britain came to an end as the empire began to collapse. Towards the end of the fourth century Europe was invaded by barbaric tribes. The Romans had to leave Britain because they were needed to defend their own country.

27. რომაელთა ბატონობა

